

განმარტებითი ბარათი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 51¹ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედი რედაქცია ზღუდავს კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის აღნიშნული ნორმის არსის ეფექტურად ამოქმედების პროცესში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია კომისიას მოეხსნას შეზღუდვა და მაუწყებლის (ფილმის დემონსტრატორის) მიერ არასახელმწიფო ენაზე წარმოებული კინოფილმის პირველადი წარმოების ენაზე გადაცემის (ჩვენების) და საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირების სავალდებულობის სისწორე, კვირის განმავლობაში, განსაზღვროს თავისი შეხედულების შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შედის ცვლილება, რომლითაც კომისიას ეხსნება შეზღუდვა მაუწყებლის (ფილმის დემონსტრატორის) მიერ არასახელმწიფო ენაზე წარმოებული კინოფილმის პირველადი წარმოების ენაზე გადაცემის (ჩვენების) და საქართველოს სახელმწიფო ენაზე სუბტიტრირების, კვირის მანძილზე, სავალდებულო მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრისას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონპროექტი გავლენას არ მოახდენს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

